საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030188098887019

№ 01-342/ო **11 / ნოემბერი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის ,,$დ^1$“ და ,,ე“ ქვეპუნქტების, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის ,,$დ^1$“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ და ,,ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან (შემდგომში - სამინისტრო) შეთანხმებას დაექვემდებაროს:

ა) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლება (მათ შორის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები), გარდა, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ“, ,,გ“, ,,კ“ და ,,მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებისა;

ბ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების მივლინება, ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომელთა და სამინისტროს სისტემის ზოგიერთი თანამდებობის პირთა მივლინების წესის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 4 ნოემბრის №01-339/ო ბრძანების შესაბამისად;

გ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების სხვა თანამშრომელთა მივლინება ქვეყნის ფარგლებს გარეთ, გარდა, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ თანამშრომლებისა, თუ იგი უკავშირდება პაციენტის მომსახურებას (მათ შორის პაციენტის ტრანსპორტირება);

დ) 10 000 ლარზე მეტი ღირებულების ახალი ვალდებულების აღება (გარდა შრომის ანაზღაურებისა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების ანაზღაურებისა, კავშირგაბმულობის ხარჯისა, საფოსტო მომსახურების ხარჯისა, კომუნალური ხარჯისა, საარქივო მომსახურების ხარჯისა და სოციალური

ვ) ავტომობილის საწვავისა და მობილური ტელეფონის ლიმიტი, მოსარგებლე თანამდებობის პირთა მითითებით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 11 დეკემბრის №01-1335/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე